



ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 5/2

2023 წლის 29 გვიათ

ქალაქი ფოთი

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერისთვის, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ ფოთში, ლარნაკას ქუჩაზე მდებარე 282.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 04.01.03.009) შპს „ჯორჯიან ტრანს ექსპედიცია-ფოთისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლით, 30 (ოცდაათი) წლის ვადით, სარკინიგზო ლიანდაგის მოსაწყობად და მისი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად, იჯარის ფორმით სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებით თანხმობის მიცემის შესახებ

საჯარო რეესტრის ამონაწერის შესაბამისად, ქალაქ ფოთში, ლარნაკას ქუჩაზე მდებარე 282.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 04.01.03.009) წარმოადგენს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებას.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის, 2022 წლის 08 სექტემბრის №ზ42.42222511 ბრძანების საფუძველზე დამტკიცდა ქალაქ ფოთში, გრიგოლ კოკაის ხეივანი ქუჩა №1-ში მდებარე შპს „ჯორჯიან ტრანს ექსპედიცია-ფოთის“ საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი 04.01.03.925) მერვე ამწის ქვეშ არსებული სარკინიგზო ლიანდაგის, შპს „საიასტარის“ (საკადასტრო კოდი 04.00.009) ლიანდაგთან მიერთებასთან დაკავშირებით, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები, რომლის შესაბამისად, შპს „ჯორჯიან ტრანს ექსპედიცია-ფოთის“ მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე უნდა გააფორმოს საიჯარო ხელშეკრულება სარკინიგზო ლიანდაგის მშენებლობის პროექტის შეთანხმებამდე (მეორე ეტაპი).

შპს „ჯორჯიან ტრანს ექსპედიცია-ფოთი“, 2022 წლის 14 სექტემბრის (№10/422225758-42) და 2023 წლის 1 მარტის №27 წერილებით (№10/422306070-42) ითხოვს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ ფოთში, ლარნაკას ქუჩაზე მდებარე 282.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 04.01.03.009) პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლით, 30 (ოცდაათი) წლის ვადით, სარკინიგზო ლიანდაგის მოსაწყობად და მისი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად, იჯარის ფორმით სარგებლობაში გადაცემას.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიამ, 2022 წლის 05 ოქტომბრის №42-422227882 წერილით მიმართა სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული, ქალაქ ფოთში, ლარნაკას ქუჩაზე მდებარე 282.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 04.01.03.009) ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში დამატებითი ქონების სახით გადმოცემასთან დაკავშირებით, შემდგომში მისი შპს „ჯორჯიან ტრანს ექსპედიცია-ფოთისათვის“ (ს/კ 215124498) პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით სარგებლობაში გადაცემის მიზნით.

„სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში დამატებითი ქონების სახით გადაცემის შესახებ“ სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს, 2023 წლის 23 იანვრის, № 1/1-217 ბრძანების საფუძველზე ქალაქ ფოთის

მუნიციპალიტეტს საკუთრებაში გადმოეცა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქალაქ ფოთში, ლარნაკას ქუჩაზე მდებარე 282.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 04.01.03.009), რომელიც სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებად დარეგისტრირდა „ქალაქ ფოთში, ლარნაკას ქუჩაზე მდებარე უძრავი ქონების (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №04.01.03.009) ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებად რეგისტრაციის შესახებ“ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის, 2023 წლის 24 იანვრის №ბ42.42230245 ბრძანების საფუძველზე. ამდენად, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტსა და შპს „ჯორჯიან ტრანს ექსპედიცია-ფოთს“ შორის უნდა გაფორმდეს, ქალაქ ფოთში, ლარნაკას ქუჩაზე მდებარე 282.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 04.01.03.009) სარგებლობის ხელშეკრულება.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკურებულოში წინადადებით შემოვიდა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ ფოთში, ლარნაკას ქუჩაზე მდებარე 282.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 04.01.03.009) შპს „ჯორჯიან ტრანს ექსპედიცია-ფოთის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლით, 30 (ოცდაათი) წლის ვადით, სარკინიგზო ლიანდაგის მოსაწყობად და მისი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად, იჯარის ფორმით სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებით თანხმობის მისაღებად.

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ საქართველოს ორგანული კანონის 122-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემა ხდება აუქციონის ფორმით ან პირდაპირი განკარგვის წესით. მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო, ხოლო მუნიციპალიტეტის ქონების პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ გადაწყვეტილებას – მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო მუნიციპალიტეტის საკურებულოს თანხმობით, გარდა ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა. ამავე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად პირდაპირი განკარგვის წესით მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემა შეიძლება სასყიდლით ან უსასყიდლოდ, პირობებით ან უპირობოდ. მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემა დასაშვებია არაუმეტეს 2 წლის ვადით, გარდა ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.

ამასთანავე, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშშწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის, 2014 წლის 8 დეკემბრის, №669 დადგენილებით დამტკიცებული წესების 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემა ხდება აუქციონის ფორმით ან პირდაპირი განკარგვის წესით. მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო, მუნიციპალიტეტის საკურებულოს თანხმობით. ამავე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, პირდაპირი განკარგვის წესით მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემა შეიძლება სასყიდლით ან უსასყიდლოდ, პირობებით ან უპირობოდ. მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემა დასაშვებია არაუმეტეს 2 წლის ვადით, გარდა ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.

„მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშშწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის, 2014 წლის 8 დეკემბრის, №669 დადგენილებით დამტკიცებული წესების 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით გადაცემას, ქირის წლიური საფასურის ოდენობა

განისაზღვრება მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს მიერ, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს თანხმობით.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერისთვის ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ ფოთში, ლარნაკას ქუჩაზე მდებარე 282.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 04.01.03.009) შპს „ჯორჯიან ტრანს ექსპედიცია-ფოთისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლით, 30 (ოცდაათი) წლის ვადით, სარკინიგზო ლიანდაგის მოსაწყობად და მისი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად, იჯარის ფორმით სარგებლობაში გადასცეს შპს „ჯორჯიან ტრანს ექსპედიცია-ფოთს“ (ს/კ 215124498).

აღნიშნულიდან გამომდინარე:

მუხლი 1.

მიეცეს თანხმობა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ ფოთში, ლარნაკას ქუჩაზე მდებარე 282.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 04.01.03.009) პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლით, 30 (ოცდაათი) წლის ვადით, სარკინიგზო ლიანდაგის მოსაწყობად და მისი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად, იჯარის ფორმით სარგებლობაში გადასცეს შპს „ჯორჯიან ტრანს ექსპედიცია-ფოთს“ (ს/კ 215124498).

მუხლი 2.

მიეცეს თანხმობა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერს, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ ფოთში, ლარნაკას ქუჩაზე მდებარე 282.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 04.01.03.009) შპს „ჯორჯიან ტრანს ექსპედიცია-ფოთისათვის“ (ს/კ 215124498) პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლით, 30 (ოცდაათი) წლის ვადით, სარკინიგზო ლიანდაგის მოსაწყობად და მისი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად, იჯარის ფორმით სარგებლობაში გადაცემისას, ქირის წლიური საფასურის ოდენობა განსაზღვროს 4000.00 (ოთხი ათასი) ლარით.

მუხლი 3.

საიჯარო ქირა მოიჯარებ უნდა გადაიხადოს ყოველწლიურად (ხელშეკრულების ხელმოწერის თარიღიდან ყოველი საიჯარო წლის განმავლობაში).

მუხლი 4.

ხელშეკრულების ხელმოწერიდან ყოველი 5 (ხუთი) წლის ვადის გასვლის შემდგომ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მიერ უნდა განხორციელდეს საიჯარო მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულების/წლიური საიჯარო ქირის განსაზღვრა „დიდ ოთხეულში“ შემავალი აუდიტორული კომპანიის მიერ და ფასთა სხვაობის შემთხვევაში მხარეთა ორმხრივი ხელმოწერით, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ წლიური საიჯარო ქირის ოდენობაში შესაბამისი ცვლილებების შეტანა, მაგრამ არანაკლებ წინამდებარე განკარგულებით დადგენილი ქირის წლიური საფასურის ოდენობის - 4000.00 (ოთხი ათასი) ლარისა.


მუხლი 5.

განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი, დავით აღმაშენებლის ქუჩა №3).

მუხლი 6.

განკარგულება ძალაშია 2023 წლის 29 მარტიდან.

საკრებულოს თავმჯდომარე



ალექსანდრე ტყებუჩავა